F-343
1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილა

იანვარ-თებერვალი 1998 წელი



ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადათ:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჭალადიდელი

## მოგონება



I

მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე გამამზადეს,
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შინაურად მე გამამზადეს.
ჯერ „ანი“ მკითხეს და მერე „ნარი“,
მაგრამ ყველაზე ვუთხარ უარი.
რაკი დარწმუნდნენ, არა ვიცოდი,
მაშინ კი ჩუმად გამიღეს კარი
და მითხრეს: „რადგან აქ არ ისწავლე,
სასწავლებელში წადი, იწვალე,
იქ გაჩვენებენ შენ თვალის სეირს,
თუ ეს სიცელქე არ მოიშალე“.

II

ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი, -
დაღონებული მწარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი...
მხოლოდ ეს მახსოვს, - გადმომყვა დედა
და მითხრა: „შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი!
გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება...



III

„ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა, -
კარგია, შვილო, სწავლის შემენა, -
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა:
მერწმუნე, რომა გამოცდილია, -
თუ სამირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!
გეზარებოდეს ყველასთან შური
და როცა შეგხვდეს კაცი უძლური,
იცოდე, რომ ის შენი ძმა არი, -
არ დაუკავო ღვინო და პური...

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

f-6 599

# ეკლესია-ღვთის სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რატომ არსებობს ბოროტება

ნანა ჩარკვიანი

ჩვენ ვიცით, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა. ისიც ვიცით, რომ ღმერთი არის ყოვლად კეთილი. მაშ, როგორღა გაჩნდა ბოროტება, ნუთუ ისიც ღმერთმა შექმნა! რა თქმა უნდა, არა. მაშ, რითი შეიძლება აიხსნას, რომ ქვეყნად უამრავი უბედურება ხდება, ადამიანებს ერთმანეთისა შურთ, ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთს მტრობენ; როგორ შეიძლება ავხსნათ სიკვდილი, ადამიანი ხომ ღმერთმა უკვდავებისათვის შექმნა. ამ კითხვებზე პასუხს იძლევა ბიბლია. მოდით, ჩვენც მას მივმართოთ.



ადამიანის შექმნამდე ღმერთმა ანგელოზები შექმნა. თქვენ იცით, რომ ადამიანი სულისა და სხეულისაგან შედგება, ანგელოზებს კი სხეული არ გააჩნიათ. ისინი სულიერი არსებები არიან. მათ ღმერთმა თავისუფლება მიანიჭა. ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ან ღმერთთან ერთად, ან უმისოდ ცხოვრება. ზოგიერთმა ანგელოზმა არ მოისურვა ღმერთთან ყოფნა, რადგან გაამპარტავნდა, იფიქრა, რომ ყველაფერი, რაც ღმერთმა მისცა - ძლიერება, გონიერება, მშვენიერება, უკვდავება და თავისუფლება, მისი საკუთარი დამსახურება იყო, და გადაწყვიტა, რომ ღმერთის გარეშეც მშვენივრად შეძლებდა არსებობას.

ყველას და ყველაფერს სიცოცხლეს, სიკეთეს ღმერთი აძლევს. ღმერთისგან განდგომილ ანგელოზებს სრულიად შეეცვალათ თვისებები. ისინი ღმერთისაგან აღარ იღებდნენ სიკეთეს, ამიტომ გადაიქცნენ ბოროტებად. იქ, სადაც სინათლე ვერ აღწევს, ადგილს ბნელი იკავებს. ერთი სიტყვით, ეს ანგელოზები ღმერთის მოწინააღმდეგენი გახდნენ. სატანა სწორედ მოწინააღმდეგეს ნიშნავს. ჩვენს ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებმაც არც კი იციან ბოროტი ანგელოზების არსებობა - ისინი იმდენად გაამპარტავნებულნი არიან, რომ ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ ადამიანზე ძლიერი ვინმეა ამქვეყნად, და ღმერთსაც სწორედ ამიტომ არ აღიარებენ. ვისაც ღმერთი სწამს, მან უნდა იცოდეს, რომ არსებობენ ბოროტი ანგელოზებიც, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ ადამიანებზე ძალიან ცუდი გავლენა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ დავუპირისპირდეთ მათ, როგორ დავიცვათ თავი მათგან. ამ სწავლებას ეკლესია ინახავს და ამაზე სულიერი მოძღვრისაგან შეგიძლიათ შეიტყოთ ყველაფერი. ჩვენ კი ჩვენი საუბარი განვაგრძოთ.

ბოროტება ვერ ეტევა თავის თავში, ის ცდილობს თავისი ძალა სხვაზეც გაავრცელოს, ბოროტი ანგელოზები ცდილობენ ადამიანებიც მოწყვიტონ ღმერთს.

შეიძლება ბევრ თქვენგანს ასეთი კითხვა გაუჩნდეს: - რატომ დაუშვა ღმერთმა, რომ ბოროტი ძალა ადამიანს შეჰხებოდა, ღმერთი ხომ ყოვლისშემძლეა, ნუთუ მას არ შეეძლო ადამიანი სატანისაგან დაეცვა? ბევრმა არც კი იცის, რომ ადამიანს თვითონ ჰქონდა ძალა, გაემარჯვა სატანაზე, ადამს შეეძლო

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ეთქვა მისთვის, ასეთ შემთხვევაში ბოროტი ანგელოზი ვერაფერს დააკლებდა მას. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. და აი, როგორ:

ღმერთმა მთელი სამყარო ადამიანისთვის შექმნა, მას აჩუქა და მის პატრონად და მეფედ დაადგინა. როგორ უნდა ეპატრონა ადამიანს ქვეყნისათვის? ისევე, როგორც მებაღე პატრონობს თავის ბაღს - აგროვებს წყალს და უსხამს მცენარეებს, რათა მათ ნაყოფი გამოისხან. ადამიანი ხომ ედემის ბაღში დაასახლა ღმერთმა (სამოთხე სწორედ ბაღს ნიშნავს), ადამიანს კი მთელი ქვეყანა სამოთხედ უნდა ექცია, ადამიანს უნდა დაეგროვებინა სულიერი წყალი ანუ მადლი, ღვთის მაცოცხლებელი, კეთილი ძალა და შემდეგ ის მთელი სამყაროსათვის გაენაწილებინა, რათა მთელ სამყაროსთან ერთად გამხდარიყო ღვთაებრივი სიკეთის მონაწილე. სამყარო თავის მხრივ მოემსახურებოდა მის პატრონს, როგორც მეფეს ემსახურებიან მისი ყმები. ასე გახდებოდა ადამიანი ღმერთის მსგავსი და ღმერთის თანამუშაკი.

როგორ უნდა დაეგროვებინა მადლი ადამიანს? - იკითხავთ თქვენ. ამისათვის ღმერთმა ადამიანს მისცა პირველი მცნება, ე.ი. სულიერი ცხოვრების პირველი კანონი - არ შეეჭამა ერთადერთი ხის - სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხის ნაყოფი; თანაც გააფრთხილა, რომ თუ მცნებას დაარღვევდა, სიკვდილი ელოდა. მცნების შესრულებით კი მას უნდა გამოეხატა, რომ სჯერა და ენდობა ღმერთს, მადლიერია მისი და უყვარს ის. სწორედ მადლიერებითა და სიყვარულით ხდება მადლის მოპოვება, ე.ი. სიკეთის შემეცნება.

მაგრამ, აი, ადამიანთან მივიდა სატანა და მოატყუა იგი - ღმერთმა თქვენ ყველა ხის ნაყოფის ჭამა აგიკრძალათ, რადგან არ სურს, ისეთები გახდეთ, როგორც თვითონ არისო. ნახეთ, რა მშვენიერი გემო აქვს ამ ნაყოფს და რა ლამაზი სანახავიაო. ადამიანმა დაუჯერა სატანას. შემეცნების ხეში მან დაინახა არა მადლიერებისა და სიყვარულის, არამედ გემოთმოყვარეობის და სიამოვნების მიღების ნაყოფი. ამიერიდან მთელი მისი თვალთახედვა დავიწროვდა, დამახინჯდა - სამყაროში იგი ვერ ხედავს ბაღს, რომელსაც უნდა უპატრონოს; არამედ ყველგან დაეძებს ნაყოფს, რომელსაც შეუძლია ხორციელი სიამოვნება მიანიჭოს. ადამიანი იმას კი არ ცდილობს, ღვთისგან მომდინარე ძალა სამყაროს გაუნაწილოს და მადლი გაამრავლოს, არამედ სულ იმის ცდაშია, როგორმე ეს ძალა წაართვას სამყაროს. სწორედ ამაშია ადამიანის უბედურება. ადამიანის პატრონობას მოკლებული სამყარო თანდათან კვდება, იხარჯება და ილევა ისევე, როგორც მებაღის პატრონობას მოკლებული, უწყლოდ დარჩენილი ბაღი.

ადამიანს არ შეუძლია მისი შველა, რადგან მარტოს, ღმერთის დაუხმარებლად იმისი ძალაც არა აქვს, საკუთარი თავი გადაირჩინოს. ის უაზროდ ფლანგავს ღვთისგან მოცემულ ძალას და ბოლოს კვდება.

ადამიანისა და სამყაროს საშველად მოგვევლინა განკაცებული ღმერთი - იესო ქრისტე, ახალი ადამი. მან მოგვცა ახალი, ნამდვილი ცხოვრების მაგალითი, მაგალითი არა საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრებისა, არამედ თავდადებისა და სიყვარულისა, ღმერთთან ერთობისა. ქრისტემ დაამარცხა ცოდვა და სიკვდილი; მისი ცხოვრება გვასწავლის გზას მარადიული სიცოცხლისაკენ, მარადიული სიხარულისაკენ. მაშ, რატომ გვხვდება ამ გზაზე თითოეულ ქრისტიანს უამრავი განსაცდელი, რატომ უშვებს ღმერთი ბოროტების არსებობას? იმიტომ, რომ ცოდვამ საშინლად დააზიანა ჩვენი ბუნება, იმდენად, რომ ბევრს ბოროტება ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ბუნება, როგორადაც ის ღმერთმა შექმნა, დიდი მონდომება გვმართებს. ბევრი დრო, ვარჯიში და წვრთნა სჭირდება ჩვილ ბავშვს იმისათვის, რომ გამართული სიარული შეძლოს, ისწავლოს საკუთარი ძალების გამოყენება. ადამიანის სულიერი წვრთნისათვის კი საჭიროა ბრძოლა ბოროტებასთან, უპირველესად საკუთარი თავის დაცვა ბოროტებისაგან. ბოროტება დროებით არსებობს. ადამიანები, რომლებიც ღმერთთან ერთად ცხოვრობენ ამქვეყნად, გარდაცვალების შემდეგაც არ კარგავენ ღმერთს. ისინი აგრძელებენ სიცოცხლეს, ოღონდ ახალ სიმაღლეზე - სასუფეველში, სადაც ბოროტებას ხელი აღარ მიუწვდება. იესო ქრისტემ, ახალმა ადამმა, დაამარცხა ბოროტება, მან გაიმარჯვა სიმდაბლითა და სიყვარულით. და იგივეს მოგვიწოდებს ჩვენც. ღმერთი შეგვეწიოს. ამინ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

## ბაბუს ანდერძი

შენი მიწა,
შენი ცა,
შენი მხარე შეიცან!
ეს ლამაზი ქვეყანა,
ჩემიცა და შენიცა,
შეისწავლე, შეიტკბე,
შეიყვარე, შეიცან!
თმაში ფერად-ფერადი
ყვავილები შეიწნან,
და ყვავილის მშობელი –
მიწა შენი-შეიცან!
სამშობლოზე უკეთესს
ვერაფერს ვერ შეიძენ!
ეს სიმდიდრე გიყვარდეს,
ეს საუნჯე შეიცან!

საქართველო შეიცან!
თავი შენი შეიცან!



ნოდარ შამანაძე

## ქართველი ვარ

ლაღად მზრდიან, პურს და მარილს
დამამადლის ვინმე განა?!
ქართველი ვარ მოდგმით, სისხლით,
ჩემი არის ეს ქვეყანა.
ჩემი არის, რასაც ვხედავ:
ცაში, ზღვაზე, მთაში, ბარად,
ვუპატრონებ ისე მედგრად,
როგორც პაპამ დამიბარა.

მხატვარი ლაშა სულაკაური

ავთანდილ ადეიშვილი

# ანათებს

(ზღაპარი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელ ლალისგულში გაჭირვების დევი ჩამოჯდა. დაიმშა დიდი თუ პატარა. სოფლის უღონობამ ცხვარ-ძროხა დააჯანდაგა. ნადირმა ამ გაჭირვების ჟამს დრო იხელთა და კაცსა თუ საქონელს დაერია. ერთი სიტყვით იქაურობაში სიდუხჭირე გაიბინდა. ამ გაჭირვების მიზეზი კი ის იყო, რომ სოფელს თავისი სარჩო პური არ მოჰყავდა. სხვისაგან ყიდულობდა, იმ სხვამაც გაყიდვაზე უარი რომ უთხრა, ლალისგულელებს ბევრი არ უფიქრიათ, სოფლის განაპირას, წყალგაღმა, მზისგულზე, საყანე ველ-მინდორი შეარჩიეს, ქვა-ღორღისაგან გაასუფთავეს, მოხნეს, გააფხვიერეს, დაფარცხეს, ხორბალი დათესეს და ამოჯეჯილებას დაელოდნენ. გაზაფხულზე წვიმამ მიწა გააბუჟბუჟა, ჯეჯილმაც იფეთქა და იქაურობა მწვანედ აახასხასა. მერე პურის ყანა აიწვერა, ღერომ დაითავთავა, დაიხარა და ოქროსფრად აბზინვარდა. ვიდრე გლეხები პირველ მოსავალს აიღებდნენ, ნადირთა შიშით ცხვარ-ძროხა გომურში გამოიკეტა. ნადირს საკბილო რომ მოესპო, დახროვდნენ, იყმუვლეს, იღრიალეს და სოფელ ლალისგულელებს ხარკი დაადეს: თუ ერთდღიურ სამკალში ერთ სულ საქონელს არ მოგვცემთ, პურის ყანაში ვერ გაჭაჭანდებითო. ხროვასთან თოფ-იარაღით ბრძოლა არ ივარგებდა, რადგანაც მათ ტყვიაგაუმტარი ჯავშანტყავები ემოსათ. გლეხობა საგონებელში ჩავარდა, როგორ აეღოთ შემოსული ყანა. ამ განსაცდელის ჟამს ლალისგულის ჯამაათს ტყუპი ძმები ნიკალა და კიკოლა ეახლნენ. ნიკოლას კიკოლასაგან იმით ანსხვავებდნენ, რომ მას მარცხენა მხარზე ღვთის ნაბოძები მტრედი ეჯდა. ძმებმა სოფლის თავკაცებს სასიკეთო განზრახვა აუწყეს: ჩვენი სოფლის მარჩენალ ყანას განადგურებისაგან ჩვენ ვიხსნითო.

- ნადირობაზე გამარჯვების რა ხერხი და იარაღი მოიფიქრეთ? - ჰკითხა ძმებს სოფლის კრებულმა.

- მოფიქრებულის სახალხოდ განცხადება არ გვინდა, რადგან ამ სოფელში ერთი მოღალატე და გამცემი მაინც გამოჩნდება და ნადირთა ხროვას ჩვენს განზრახვას ჩაუჭიკჭიკებს. მოგვეცით უფლება, რომ ჩვენ - ძმები, და ჩვენი მხარმტრედა ნადირთუნადირესთ შევერკინოთო.

სოფელმა დასტური მისცა და გზაც დაულოცა.

ხროვამ შეიტყო ძმების წადილი და პურის ყანის სამანთან აჯაგრული დაუსაფრდა მათ.

ნადირთა უნადირესნი ძმების მოლოდინით გადაიქანცნენ, მთქნარებით ლაჟვარდს ჩასისხლული თავებიააყოლეს და მხარმტრედას თვალი შეასწრეს.

- სად არიან შენი ბაქიბუქა ძმები? - იკითხა სუნსულა ტურამ.

- ყანას მკიან, აი მოსავალი ნისკარტით გადამაქვს, - უპასუხა მხარმტრედამ.

- რაო, მკიანო!? - გაოცებისაგან იღრიალეს ნადირებმა და ყანაში შეშლიგინდნენ. ყანა ყველგან გაჩხრიკეს, მაგრამ ძმები ვერსად დალანდეს.

- სად არიან კუნთმაგარა ძმები?! - ტურამ ასძახა მტრედს.

- ყანაში, - ჩამოსძახა მხარმტრედამ. - აბა, მომკილი ხორბალი საიდან მომაქვს!

- სანამ შენ თითო ღეროთი პურს ბელელში გადაიტან, მანამდე მთელი ყანა ჩაგიხურდებათ და ჩაგეწვებათ! - გააფრთხილა ტურამ.

- მაგაზე ნუ იდარდებთ! - ჩამოსძახა მხარმტრედამ.

- მტრედო, მტრედო, თუ საიდუმლო არ არის, ეგ შენი ძმები ყანაში როგორ გაუჩინარდნენ!? - სიცილისაგან აყმუყუნდა მგელი.

- ძმებს მანათობელი ქვა აქვთ, დახედავენ-დაპატარავდებიან, ახედავენ - გაიზრდებიან.

- ხა-ხა-ხა, - იცინოდა ნადირი. - ამათი მასხრად აგდება როდემდე ვითმინოთ, წავიდეთ დავარბიოთ სოფელი და ერთი ჩვენებურად გამოვძღეთ.

- სანამ სოფელს დავარბევთ, მდინარე გუგულა გვაქვს გადასაცური, გუგულა კი შიგ არ გვიშვებს, ტურტლიანები ხართ და დამაბინძურებთო. ხიდზე კიდევ სოფლელები არ გაგვატარებენ, ხიდს ჩახერგავენ და მდინარეს დაახრჩობინებენ ჩვენს თავს.

- ერთხელაც მაგ მდინარეს დავხვრეპავ! - ალაშლაშდა თეთრბეწვა ვერაგი დათვი.

- რაღა დაგვრჩენია! დაველოდოთ სოფლის დამ-





შევას, მერე ხომ იკადრებენ ხარკის გაღებას! - დაასკვნა ჭკუისკოლოფა ტურამ.

- მტერდო, მტრედო, ეგ მანათობელი ქვა სად, რომელ ქვეყანაში ბუდობს! - ელაზღანდარებოდა მხარმტრედას თეთრი მელა.

- ცისფერ მღვიმეში.

- მელაკუდავ, რაში გჭირია ეგ ქვა! - აიფოფრა ვერაგი დათვი.

- ტურას ჰკითხე.

ჭკუისკოლოფა ტურა ვერაგ დათვთან ახლოს მივიდა და ყურში უჩურჩულა:

- იმ მანათობელი ქვით დავპატარავდებით, შევიპარებით სოფელში და ერთი ჩვენებურად გამოვძღებით.

- ტაკლი-ტუკლი-ტაკლები, - სიხარულისაგან აბურტყუნდა თეთრბეწვა ვერაგი დათვი და მტრედს ასძახა, - გვაჩვენე ის ცისფერი მღვიმე.

- მომყევით! - მოუხმო მხარმტრედამ.

იარეს, იარეს და მიადგნენ ცისფერ მღვიმეს. ხროვამ შიგ გადაიხედა.

- აბა, სადა გდია ის მანათობელი ქვა! - იკითხა ჭკუისკოლოფა ტურამ.

- ძირში, - ჩამოსძახა მტრედმა.

- მერე როგორ უნდა ამოვიღოთ? - ღიმილით ჩაეკითხა მელა.

- უნდა ჩახტეთ, შუა გზაზე, როგორც კი თვალში გეცემათ ნათება, მაშინვე დაპატარავდებით და ნარნარად დაეშვებით დაბლა, მანათობელ ქვას აიღებთ და კეთილი ჭიანჭველა ამოგიყვანთ.

- ოჰ, ოჰ! - აკისკისდა მელა.

- ძირში ნამდვილად მანათობელი ქვა გდია? - დაეჭვებით იკითხა ჭკუისკოლოფა ტურამ.

- ტურავ, ამხელა გზა გამომატარე და ახლა გული გეთანაღრება? მიდი! - და ვერაგმა დათვმა ტურას თათი ჰკრა და უფსკრულში გადაუძახა.

- ხა-ხა-ხა, - ახარხარდა მელა.

ტურამ მღვიმეში კარგა მანძილი რომ ჩაიფრინა, მგელმა როხროხით ჩასძახა:

- გამოჩნდა ნათება?

- ანათებს, ანათებს! - ამოსძახა ჭკუისკოლოფა ტურამ.

- ტურა პატარავდება! - არ ცხრებოდა მელა.

- ტურა მართლა პატარავდება, გამართლდა ეჭვი, გამიშვით, მაგ მანათობელ ქვას ტურას არ დავუთმობ! - და ვერაგი დათვი მღვიმეში გადაეშვა.

საკმაო მანძილის ჩაფრენის შემდეგ, დათვიც დაპატარავდა.

- მართლა გასჭრა მანათობელმა ქვამ! - იღრიალა ნადირმა და მღვიმეში გადაეშვა. ტალღამ მელაც თან გაიყოლა.

- ნათება ვიხილეთ...

- ვხედავთ ნათებას, - ღრიალებდა ხროვა.

სინამდვილეში მღვიმის ფსკერზე მზის სხივი პატარა გუბურას აბრდღვიალებდა, სწორედ ეს ნათება იყო ნადირთა ხროვას თვალს რომ სჭრიდა. როცა ყველა უფსკრულში ჩაცვივდა, ხროვა აბურდღუნდა:

- ვაი, მხარი...

- ვაი, წელი.

ერთმანეთს შეხედეს და ატირდნენ:

- რაც ვიყავით, ისეთები დავრჩით.

- ყველამ ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ვპატარავდებოდით, ეგ როგორ ხდებოდა?

- მაღლიდან ჩავარდნილი სხეული თუ საგანი დაშორების გამო თანდათან პატარავდება, მანძილი შთანთქავს სხეულის მოცულობას. ასეთია ბუნების კანონი! - ხროვას ჩასძახა ნიკალამ.

- მაშა, მაშ! - დაუდასტურა კიკოლამ.

სოფელ ლალისგულას მტაცებელთა ხროვა მოსცილდა, გლეხობას სახსარი მიეცა, მოსავალი აელო; წლის სარჩო მოინაგრა და საქონელიც ლაღად გაუშვა საძოვარზე.

დღესაც იმ მღვიმიდან მტრის გასაფრთხილებლად ოხვრა ისმის.



მხატვარი **ვაჟა ქურხული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

# მამის შეგონება

(ესკიზი)

ბიჭი დილით დაიბადა. ბედნიერების მაცნე თოფი გავარდა და ახალშობილის მამა შინ შევიდა. თეთრ ნაჭერში გახვეული შვილი გულში ჩაიკრა. ჩვილის დედას ალერსით გადახედა, სარკმელთან მივიდა, ცალი ხელი ჰკრა და გააღო. მზის სხივი ისეთი მხურვალით შემოიჭრა ოთახში, თითქოს სულწასული ელოდა, შინ როდის შემიშვებენო. მამაშვილი ათინათში გაეხვია. დამრეც სხივებში ოქროსა და მარგალიტის ნამცეცები ირეოდნენ, ზედ აცვივდებოდნენ ჩვილს. ღინღლით დაფარულ თავსა და თეთრ სახვევს ულამაზებდნენ.



- ბიჭო, ჩემო პატარა ვაჟკაცო - ჩასჩურჩულა მამამ შვილს. მერე ისე ფრთხილად, თითქოს ვარდისფერი კანი არ დაუწვასო - ემბორა. - ხედავ, როგორ გაგათბო მზემ, შეხედე, როგორ გინანავებს, ოქროსფერ სხივებზე გარწევს და ყურს თუ მიუგდებ, ანგელოსები უკრავენ შენთვის ჩანგზე. ღმერთის ნაბოძებია, ეს ყველაფერი, შვილო. შეიყვარე მზე და მისი სიკეთე, იწამე ღმერთი, ის მოგცემს ბარაქასა და სიცოცხლის წყაროს. გულში სითბოთი სავსე სულს ჩაგიღვრის, შენ კი, თუ გინდა ბედნიერი იყო, მთელ ქვეყანას ამეოფინე იგი! არ დაივიწყო მნათობის მადლი, თვალი არ აარიდო მის ბრწყინვალებას და მის ნაბოძებ სიკეთეს.

შეხედე, ჩემო პატარავ, როგორ ბიბინებს ხასხასა ბალახი, როგორ ნებივრად ირწევიან აყვავებული ნუშის რტოები და ხეხილის ბაღი - ისინიც მზით გამთბარნი, ირხევიან და ელიან მშვენიერ ნაყოფს. ეს ნაყოფიც ღმერთის ნაბოძებია. მადლობა მოახსენე უფალს ამდენი მადლისათვის, შვილო. გესმის, როგორ მიჟღურტულებს ყორის ძირას კამკამა რუ, ქვიდან ქვაზე ხტის, მზის სხვიებში ლივლივებს და ლიცლიცებს. არ აამღვრიო არასოდეს, შვილო, ეს სუფთა წყალი... გესმის? როგორ გალობს შაშვი, ჩვენს წაბლზე შემომჯდარი; ჩვენი სახლის ერდოზე როგორ ჭიკჭიკებს კუდმაკრატელა მერცხალი ბარტყებით სავსე ბუდესთან. ვაიმე! იცოდე, არასოდეს ჩაიდო ბოროტება გულში. თავისუფლება არ წაართვა არც ერთ სულიერს დედამიწაზე. ცუდად არავინ გაიმეტო. არ გაამწარო სხვისი დედა, შვილი არ მოუკლა. არავის დაუკარგო სიკეთე და სიყვარული.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

## მარიამ წიკლაური-ძიძიგური

ეროვნული ბიბლიოთეკა





***

- ძალო, მომე ვაშლი!
- შენ რას მომცემ ვალში?
- ერთ ბეკეკოს, ერთსაც ზაქსა,
ხალებიან ჭრელ-ჭრელ ტახსა.
- არა კმარა!
- უღელ ხარს და დიდ მამალსა
ყველით სავსე წყვილ ხალამსა.
- არა კმარა!
- ფარდაგსა და გრძელ ხალათსა
სარკესა და ჩით-ატლასსა.
- არა კმარა!
- მადლს მოგიძღვნი, ღვთის საგზალსა,
დილაობით ტკბილ სალამსა.
- მაშ შებრძანდი ბაღში,
არ დამრჩები ვალში.
მადიანად მიირთვი
გემრიელი ვაშლი.



***

ტყე-ტყე ვიარე, დავაფრთხე
პატარ-პატარა წოტები.*
მხრებით მივლეწე-მოვლეწე
მუხის და წიფლის ტოტები.
გზად დათვი შემომეფეთა,
სეტყვად ვაყარე რკოები.
ისე შეშინდა საწყალი,
თავში დაიცა ტორები.
გაიქცა ძუნძულ-ფრენითა,
ჩამოიტოვა ქორები...
პირდაღებული მისმენდნენ
ამის გამგონე სწორები.



*წოტი - პატარა ბუ

***

დავაგეთ ხარაულები,*
ფერითა მხიარულები,
ზედ დავსხედით და ვიზღაპრეთ
თვალს მოგვივიდა რულები.

მივკოტრიალდით იქავე,
ძილით ვიჯერეთ გულები.



*ხარაული - მატყლის თხელი ფარდაგი

მხატვარი ნანა სანაია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

# სახუმარო ლექსი



თავი თავზე მივადოთ,
შენი ჭირიმე:
- ჩემი ტილი - შენ,
შენი ტილი - მე!

ხმა რატომ მაქვს, თუ იცი,
ჩაკმედილი მე? -
არ მაძინებს, ძამიკო,
შენი ტილი მე!

დივლი-დივლი-დალალე,
დილილ-დილილ-მე!
- ჩემი ტილი - შენ,
შენი ტილი - მე!

მაინც მაგ ნაწნავის და
ქოჩრის ჭირიმე:
- ჩემი ტილი - თქვენ,
თქვენი ტილი - მე!

თამაზ ებანოიძე

# თეკლას გაკვირვება




ეკრანთან იკითხა პატარა თეკლამ:

- სად იყო ამდენი უნიჭო
რეკლამა?!.

# მწეველ დედიკოს და მწეველ მამიკოს



თქვენ თუ მოგწონთ
„მარლბორო“ -
მე რად უნდა მაბოლოთ?..



# აჩოს დანაქადი

ასე თქვა ბიჭმა აჩომო:

- რომ არ მოიკლოს სარჩომო,
ბიზნესი უნდა დავიწყო
და ყველას უნდა ვაჯობო...



მხატვარი თეა მიქაია

# სტუმრად თოჯინების მუზეუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენო პატარა მეგობრებო, თქვენ, რა თქმა უნდა, ყველას ძალიან გიყვართ თოჯინები, მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცით, რომ თბილისში თოჯინების მუზეუმი არსებობს. ეს მუზეუმი 1937 წელს დაარსდა და დღეს უკვე 60 წლისაა. მისი მკვიდრნი ყველაზე ორიგინალური თოჯინები არიან მთელ დედამიწის ზურგზე, რადგან არც ერთ მათგანს მსოფლიოში „ტყუპისცალი" არა ჰყავს – ესე იგი, ყველა აქაური თოჯინა მხოლოდ თითო ეგზემპლარად არსებობს, ზოგი ნახევარი საუკუნისაა, ზოგი მეტის, ზოგი – ნაკლების, მაგრამ ამა რა მნიშვნელობა აქვს თოჯინისათვის ასაკს, მერწმუნეთ ქალები ისევე უკრავენ ლამაზ ქართულ მელოდიებს და ისეთივე სინარნარით ისხდიან შემდეგ მადლობას ოვაციებისათვის, როგორც ადრე, თქვენი დედებისა და მამების მაყურებისას.



„დილის" რედაქციამ გადაწყვიტა გული არ დაგწყვიტოთ იმათ, ვინც არ ხართ ნამყოფი თოჯინების მუზეუმში – დღეს ჩვენს პატარა ტოპ-მოდელთან – ნიასთან ერთად თქვენც ამ ლამაზი სამყაროს სტუმრები იქნებით.



**- თოჯინების მუზეუმი ერთი დიდი დარბაზია, სადაც ძალიან ბევრი თოჯინა ცხოვრობს. მეტყვით, თოჯინები ჩვენს სახლშიც ცხოვრობენო, მაგრამ მუზეუმში მაღაზიაში ნაყიდი ბარბი და დათუნიები კი არა, სულ სხვანაირი თოჯინები არიან, მათი მსგავსი არსად, არსად არ არის. აი, მაგალითად, რეზო მხოლოდ ერთია... თუმცა თქვენ ხომ ჯერ არც იცით, ვინ არის რეზო, მე გაგაცნობთ, აბა, წავედით!**



**- ვაშა, სტუმარი მოსულა, სტუმარი! რა გქვია, გოგონა?**

**- ნია.**

**- მე რეზო ვარ, ვინც ჩვენთან მოდის, პირველი მე ვესალმები, ხელს ვართმევ, სტუმრის სახელსაც პირველად მე ვიგებ, წასვლისასაც მე ვემშვიდობები. იცი რა კარგია, სხვა თოჯინებსაც უნდათ ასე, მაგრამ ვერ მივართვი. ახლა მათთანაც მიდი, თორემ გააბუტებიან და მერე მთელი დღე იბუზღუნებენ.**





**- რა ახირებული ხარ, ლუარსაბ: რასაც იტყვი, კაცი ვერ გადადათქმევინებს, მაშ, შენ ბოზბაშს ამჯობინებ?**

**- ვამჯობინებ. აი, თუ გინდა, ამ გოგონასაც ვკითხოთ. პატარა, რომელი სჯობია, ჩიხირთმა თუ ბოზბაში?**

**- ?!**

**- ჩიხირთმა, ადამიანო!**

**- ბოზბაში, დედაკაცო!**



ეროვნული ბიბლიოთეკა



- მე მარინე მქვია, ყველაზე ლამაზი კაბა მაცვია და ყველაზე დიდ საპნის ბუშტებს ვუშვებ. რა გაცინებს. აბა შემეჯიბრე! იქნებ თქვა, მეტიჩარააო... აი, ნახე, ასეთი ლამაზი ბუშტები გინახავს? მოიცადე... არ წახვიდე... ხომ არ გაბრაზდი? დარჩი ჩემთან და შენც გასწავლი...



- ჩემო პატარავ, კარგია, რომ არ დაგავიწყდა პიანისტი ელისო. რა ლამაზი თითები გაქვს, შენგან შეიძლება პიანისტი გამოვიდეს. არ გინდა, ჩემსავით დაუკრა? ისე, ძალიან ცუდია, როცა მსმენელი არ გყავს. დღეს მარტო შენ მოხვედი, მე კი დილიდან ვუკრავ. ხშირად შემოგვიარე, მე შენთვის ყველაზე ლამაზ მელოდიებს შევასრულებ.



ნეტავ ,,სამაიას‘‘ სამზე მეტი შემსრულებელი სჭირდებოდეს, მაშინ შენც ჩვენთან იცეკვებდი. არა უშავს, მოიყვანე შენი მეგობრები და ერთად გასწავლით ცეკვას, სულაც არ არის ძნელი.



- ნინო, აუცილებლად უნდა დაუკრა, ნუ ჯიუტობ, იცოდე, ჩვენთან აღარავინ მოვა. ნინო, უშენოდ არაფერი გამოგვივა... ნია, სთხოვე ნინოს, დაუკრას. გუშინ გააბრაზეს, პატარა ბიჭუნა გვყავდა სტუმრად, კარგა ხანს ვუკრავდით მისთვის, მან კი ტაშიც არ დაგვიკრა, შებრუნდა და წავიდა. ნინომ დაიჩემა, აღარასოდეს დავუკრავო...

- ნინო, ძალიან გთხოვ, დაუკარი ჩემთვის. იმ ბიჭს ალბათ, ძალიან ეჩქარებოდა, ხომ იცი, როგორები არიან დედები. ხუთი წუთით შემოგვიყვანენ და ყველას ნახვა უნდა მოასწრო... არაფერსაც არ გაცლიან...

- კარგი გოგონა ჩანხარ, სულ გამიარა გაბრაზებამ, გინდა ,,სულიკო‘‘ დავუკრათ?

- მინდა, ძალიან მიყვარს.

- ბრავო! ბრავო!

- გმადლობთ ნია, კიდევ მოდი, კიდევ დავუკრათ, მეგობრებიც მოიყვანე. იმ ბიჭს კი, ალბათ, მართლა ეჩქარებოდა.



- მშვენივრად მბაძავ, კარგად გამოგდის. რაც მართალია, მართალია, ხანდახან არლეკინიც მბაძავდა, როცა კარგ ხასიათზე იყო, სწორედ ასე დგებოდა, ვითომ მაბრაზებდა. მე კი არ ვბრაზდებოდი, იმიტომ რომ ძალიან მიყვარდა არლეკინი. ჩემი მგალობელი ჩიტებიც მიყვარდა, აქ ცხოვრობდნენ, ჩემს გვერდით, რიქშაც გვყავდა, დედოფლებს დაასეირნებდა. აქ კიდევ ლორნეტიანი ქალი ცხოვრობდა, ისე იპრანჭებოდა... აი, იქით დედოფლები ყავას სვამდნენ... ვაი, შენ მტირალა დედოფალა უნდა გენახა! გაგიჟდ... გაგიგია!!! სულ ტიროდა და ტიროდა, არლეკინიც კი ვერ ამხიარულებდა...



- სად წავიდნენ მერე არლეკინი, ჩიტები, დედოფალები?

- რას გაუგებ ამ დიდებს, მოვიდნენ ერთ ღამეს და როცა ყველას გვეძინა, რეზიკოსაც ეძინა, მაშინ წაიყვანეს. აქ თქვეს, ქურდები იყვნენ და ჩვენი თოჯინები მოიპარესო. მე არ მჯერა, ალბათ, მალე უკან მოიყვანენ, ბევრი დრო კი გავიდა, მაგრამ არლეკინი მაინც მოვა, აი, ნახავ, რიქშაც მოგრიხინდება თავისი დედოფალებით და მგალობელი ჩიტებიც მოფრინდებიან. მე სულ ველოდები.

გამარჯობა ნია! არ გაგიკვირდეს, რეზო ისეთი ხმაურით შეგხვდა, ყველამ გავიგეთ შენი სახელი. აი, ჩვენ კი ჯერ მონათლულებიც არა ვართ. სულ ახლახანს დავბინავდით აქ, ყველა „ახლებს“ გვეძახის. იცი რა ცუდია, სახელი რომ არ გქვია?! აი,



შენ აქედან წახვალ და მეგობრებს მოუყვები, რომ გაიცანი რეზო, მარინე, ელისო და კიდევ, კიდევ... ჩვენზე რას ეტყვი, ჩვენ ხომ ჯერ სახელები არა გვაქვს. ძალიან გთხოვთ, უთხარი ბავშვებს, მოიფიქრონ ჩვენთვის ლამაზი სახელები, ოღონდ ისეთი, რომ სხვას არავის ერქვას.

- აქ კიდევ ბევრი თოჯინაა, დღეს ყველა ვერ გაგაცანით, მაგრამ, როცა თვითონ მოხვალთ, რამდენიც გინდათ, იმდენი ელაპარაკეთ. როგორ მოხვიდეთ? ხო, ვიცი, ჩვეულებრივი ამბავია, დედა და მამა სამსახურში არიან, ბებო - სამზარეულოში, ხვალ არ სცალიათ, არც ზეგ, არც მაზეგ... მე გასწავლით რაც უნდა ქნათ; თურმე, როცა დიდებს რაიმე სურვილის შესრულება უნდათ, საჭმელს არ ჭამენ და შიმშილობენ - ჰოდა, თქვენც თქვით, რომ ხვალიდან აღარ შეჭამთ შოკოლადს, აღარც ნამცხვარს, და ლიმონათზეც კი უარს იტყვით, თუ თოჯინების მუზეუმში არ წაგიყვანენ. აბა, თქვენ იცით!







– ძვირფასო დედებო და მამებო, ბებიებო და დეიდებო, ბიძიებო და მამიდებო, ძალიან გთხოვთ, ნუ აიძულებთ თქვენს პატარებს „უცნაურ ზომებს“ მიმართონ. წაიყვანეთ თოჯინების მუზეუმში, იქ ხომ თქვენი ბავშვობაც არის. მიატოვეთ ცოტა ხნით საქმეები და გახარეთ თქვენი პატარების გული.

თუმცა შეიძლება არ იცოდეთ თოჯინების მუზეუმის ახალი მისამართი:

**შავთელის 17ა, ელენე ახვლედიანის სახელობის სურათების გალერეა**

**თამარ ნინიკაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მუხუდელა

## სპარსული ზღაპარი

დიდი ხნის წინათ ერთ ლამაზ სოფელში ერთი კეთილი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. შვილი არ ჰყავდათ და დღედაღამ ლოცულობდნენ, რომ ღმერთს მათთვის ერთი ბავშვი გაემეტებინა.

ერთ მშვენიერ დღეს ცოლი სათონეში წვნიანის მოსამზადებლად მუხუდოს არჩევდა. უეცრად მუხუდოს ერთი მარცვალი ხელიდან გაუსხლტა, თონეში ჩავარდა და პატარა, მოხდენილ გოგონად გადაიქცა. სწორედ ამ დროს ერთმა ავყია მეზობლის დედაკაცმა შემოჰყო თავი და დაიძახა: ჩემს გოგოებს მინდორში თავთავების შესაგროვებლად წასვლა განუზრახავთ. თუ გინდა, შენი გოგოც გააგზავნა იმათთან ერთადო. ქალი დაღონდა, მიხვდა - მეზობელი აბუჩად იგდებდა იმის უშვილობას. მწარედ ამოიოხრა და გულსაკლავი ტირილი დაიწყო. მუხუდელამ გაიგონა ქალის ტირილი და თონიდან ამოსძახა: დედილო, ნუ დაღონებულხარ, ამომიყვანე და გამაგზავნე მინდორში იმათთან ერთადო. ქალი გაოცდა, ჯერ ეგონა სიზმარში ვარო, მაგრამ მერე კარგად მიაყურა და მიხვდა, რომ ეს საკვირველი ხმა თონიდან მოისმოდა. ჩაიხედა თონეში და პატარა, მუხუდოს მარცვლისხელა გოგო დაინახა. ძალიან გაუხარდა: გოგო სასწრაფოდ ზემოთ ამოიყვანა, დაასუფთავა, დავარცხნა, ტანთ ჩააცვა, სახელად მუხუდელა დაარქვა და მეზობლის ბავშვებთან ერთად მინდორში თავთავების შესაგროვებლად გააგზავნა.

მუხუდელა ბავშვებთან ერთად დაღამებამდე თავთავებს აგროვებდა. მზე რომ მიიწურა და ბავშვებმა თქვეს, უკვე დროა, შინ დავბრუნდეთო, მუხუდელამ უთხრა, ჯერ ადრეა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ და ვიშრომოთო.

ბავშვებმა დაუჯერეს მუხუდელას, დარჩნენ მინდორში და თავთავების კრეფა განაგრძეს. უკვე კარგა შეღამებული იყო, შინ რომ გამობრუნდნენ. უეცრად ერთი დევი სიბნელეს გამოეყო, ბავშვებს გზა გადაუჭრა და უთხრა:

- ეს რა მშვენიერი ცუგრუმელები ხართ; ერთი მითხარით, აქეთ სად ყოფილხართ და ახლა საით მიდიხართო!

- შინ მივდივართო! - უთხრა მუხუდელამ.

- ამ სიბნელეში შეიძლება წინ ბატონი მგელი შეგეფეთოთ. ისეთი გაუმაძღარი ვინმე ბრძანდება, ვიცი, ყველას ჩაგსანსლავთო.

ბავშვები საგონებელში ჩავარდნენ, რა ვქნათო! დევმა უთხრა - ამაღამ ჩემთან წამობრძანდით და მოისვენეთ. ხვალ კი, ინათებს თუ არა, შინისაკენ წახვალთო.

- კარგი, ეგრე იყოს, ყაბულსა ვართო, - უთხრა მუხუდელამ.

დევმა ბავშვები თავისთან მიიყვანა. გაუშალა ლოგინი და ჩაილაპარაკა: ჩემმა მზემ, ეს ცუგრუმელები კარგად გავაცურე. ამათგან ერთი კვირა მაინც გემრიელი და ნოყიერი სადილი მომზადდება. ცოტა რომ მოსუქდებიან და მოფერიანდებიან, ყველას სათითაოდ შევახრამუნებო. ცოტა ხანმა რომ გაიარა, დევმა დაიძახა - აბა, ვნახოთ, ვისა გღვიძავთ, ვის დასძინებიაო!

მუხუდელამ უპასუხა: - მე მღვიძარი ვარო.



მხატვარი თამარ ქალდანი

დევმა ჰკითხა: ამ შუაღამისას რატომ არ იძინებო!

მუხუდელამ უთხრა: ასე დაძინება არ შემიძლიაო.

დევმა ჰკითხრა: აბა როგორაო!

მუხუდელამ უთხრა: როგორ და, ჩემს სახლში რომ ვიყავი, დედაჩემი ძილის წინ ხალვას და ტკბილეულს მიმზადებდა, ვჭამდი და მხოლოდ ამის შემდეგ მეძინებოდაო. დევი წავიდა, მოიტანა ხალვა და ტკბილეული და მიართვა მუხუდელას. მუხუდელამ ბავშვები გააღიძა. ჩქარა ადექით, ხალვა შეჭამეთო. ბავშვები ადგნენ, ჭამეს ხალვა და ისევ ისე ძილი მოერიათ.

ცოტა ხნის შემდეგ დევმა კიდევ დაიძახა: ერთი ვნახოთ, ვისა გღვიძავთ, ვის კიდევ გძინავთო!

მუხუდელამ უპასუხა, მარტო მე მღვიძავს, დანარჩენს ყველას დასძინებიაო.

დევმა ჰკითხა: შენ როდისღა დაგეძინებაო!

მუხუდელამ უთხრა: ჩვენს სახლში რომ ვიყა-

ვი, ვახშმის შემდეგ დედაჩემი ბროლის მთაზე მიდიოდა და ჩემთვის სინათლის ზღვიდან წყალი ჩამოჰქონდა ვარცლითაო. ამის მერე ვიძინებდიო.

დევი წამოხტა, ვარცლი აილო და სასწრაფოდ ბროლის მთისაკენ გაეშურა. იმდენი იარა, რომ თავზე დაათენდა. ამასობაში მუხუდელამ გოგოები გაალვიძა; ყველა მათგანმა დევის სახლიდან რაღაცა წამოიღო და შინისაკენ გაეჩქარნენ. შუა გზაზე მუხუდელას გაახსენდა, რომ დევის სახლში ერთი ოქროს კოვზი იდო. გაახსენდა და უკან დაბრუნდა იმ კოვზის ასაღებად. დევის სახლში რომ მივიდა, ხედავს, - დევი უკვე დაბრუნებულა, იმდენი სიარულისაგან არაქათი გამოსცლია და სახლში პირდაპირ მიწაზე გაშოტილა. მუხუდელა ფეხაკრეფით მივიდა, აილო კოვზი და ის იყო, გამობრუნებას აპირებდა, რომ დევს მისი ფეხისხმა შემოესმა, გაიწვდინა ხელი და ეს ჩვენი მუხუდელა უცებ დაიჭირა, ჩააგდო გუდაში, მერე გუდას თავი მოუკრა და თვითონ ტყეში წავიდა ბროწეულის წნელის მოსატანად, რომ მუხუდელასათვის გვერდები გემრიელად აეჭრელებინა.

მუხუდელამ რის ვაივაგლახით მოხსნა თავი გუდას, ამოვიდა და გუდაში დევის თხა დაამწყვდია, თვითონ კი სახლის ერთ თვალუხვედრელ კუთხეში მიიმალა. დაბრუნდა დევი, მოიტანა ერთი იღლია ბროწეულის წნელი, ეცა გუდას და თავისი თხის ძვლებს ისეთი ლაწალუწი აუყენა, რომ საწყალი თხა გამწარებული აბღავლდა და აკიკინდა, მაგრამ რაც უფრო ხმამაღლა კიკინებდა, დევი უფრო გამეტებით ურტყამდა და დასძახოდა: ნეტავ ვიცოდე, რა გაბღავლებს ჩემი თხასავით. სულერთია, ეგრე იოლად ველარ მომატყუებ. ისიც შეგრჩეს, აქამდე რაც მაცუცურაკეო.

როცა თხამ კიკინი შეწყვიტა და აღარ ჭყივროდა, დევმა მხოლოდ ამის შემდეგ მოხსნა თავი გუდას და დაინახა, რომ თავისი ნაფერები და ნალოლიავები თიკანი მოეკლა. სახლის ყველა კუთხე-კუნჭული გადაჩხრიკა. მიაგნო მუ-



ხუდელას და დაუყვირა:

ახლა, აი ეგრევე, ცოცხლად და გაუტყავებლად გადაგყლაპავ, რომ მეორედ ჩემი გაწბილება ველარ შეძლოო.

მუხუდელამ უთხრა: - მე თუ ცოცხლად გადამყლაპავ, დაგარტყამ, მუცელს გაგიპობ და გარეთ გამოვალო.

დევს შეეშინდა, ემანდ მართლა მუცელი არ გამიფატროსო და უთხრა:

- აბა, რას მირჩევ, როგორ მიჯობს, შეგახრამუნოო!

- პური გამოაცხვე, გამახვიე შიგნით ქაბაბივით და ისე შემჭამე, რომ გაიგო, ახალი პური და ცვრიანი ქაბაბი რა გემრიელიაო.

დევს ამის გაგონებაზე პირწყალი მოადგა. გადაეყუდა თონეში და დაიწყო პურის გამოცხობა. ამ დროს მუხუდელა გამოუსხლტა იღლიიდან, დევს ხელი ჰკრა და თონეში გადაუძახა. მერე თონეს თავი კარგად დაახურა, აილო ის ოქროს კოვზი და შინისაკენ გამოსწია.

სპარსულიდან თარგმა
**გიორგი ლობჟანიძემ**

**ბავშვებო,**

**თუ სწორად გაივლით ლაბირინთს, შეიტყობთ კვირის რომელ დღეს სცადა ფისომ ძეხვის ხელში ჩაგდება.**

მხატვარი **ლაშა სულაკაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე დიდებაშვილი

## სანათელო

ამ მიწის და
ამ ცის შვილებს
ზენამ ნიჭი მოგვამადლა,
რომ აღვზევდეთ ფრთამალ ლილედ,
სამშობლოსთვის ვენთოთ სანთლად.
ცრემლიანი,
ბზარიანი,
სიმამაცით გავამთელოთ
ღვთისმშობელი მარიამის
წილხვედრილი საქართველო.
ვფიცავთ ხატებს,
ოქროცურვილთ,
წინაპართა ამაყ სულებს,
მამულს ვიხსნით, -
ღვთიურ სურვილს
შრომით, ბრძოლით განვასრულებთ.
აგვამაღლებს რწმენა ღმერთის,
სასიკეთო, სანათელო...
შრომაც მეტი,
სიბრძნეც მეტი,
როცა უჭირს საქართველოს!



მერი ინაშვილი

## პატარა ქირურგი

სანაქებო ქირურგი ვარ
და ხალათიც მაცვია,
დედოფალას გავუკეთე
კუჭის ოპერაცია.
ნარკოზს ვაძლევ დიდებულად -
ცუდი არვინ მაკადროს -
ისე მაგრად დავაძინებ,
რომ არ შემეკამათოს.
მაინც მიკვირს, პატარებო!
უცნაური მომენტის -
გული ერთი რატომ გვაქვს და
კბილი - ოცდათორმეტი!

ალექსი ბოლქვაძე

## გამოცანა

გამოცანას გეკითხები,
გამოჩნდება ცოდნა შენი,
თუკი მეტყვი რომელია
ამერიკის აღმომჩენი.

მხატვარი ანა მგალობლიშვილი

# ზღაპარვორდი

ვინც პირველი ამოიკითხავს ამ ოთხ პაწაწინა რებუსში ცნობილი ზღაპრების სათაურებს, ესე იგი, ვინც ბოქლომს გასაღებს მოარგებს, მერე კი, რაც მთავარია, პირველი შემოაღებს ამ გასაღებით რედაქციის კარს, ის მიიღებს „დილის“ სამახსოვრო საჩუქარს.

კახა ბუაძე






გიორგი წერეთელი

F-6599

## უკუბრუნდა*

წაღმა-უკუღმა საკითხავი,
ჩქარსათქმელი, გასათვლელი

***

ამ აჩაჩამა
არც რა
აჩეჩა,
არც რა,
აწეწა,
არც რა,
აქექა!





***

ირამ მარი
აჩეჩა
მარი ირამ
აწეწა!

*ეს მშვენიერი სიტყვა „უკუბრუნდა“ ქართველი ბავშვებისათვის მოიფიქრა პოეტმა გიორგი წერეთელმა; მაგრამ არსებობს მისი შესატყვისი, რომელიც ყველა ეროვნების ადამიანებისათვის არის გასაგები. დაიმახსოვრეთ ეს სიტყვაც - პალინდრომი (პალინდრომეო ბერძნულად ნიშნავს „უკან გავრბივარ“). პალინდრომი ანდა, ჩვენებურად, უკუბრუნდა, არის სიტყვა, ფრაზა ან ლექსი, რომელიც ერთნაირად იკითხება (მარცხნიდან მარჯვნივ თუ მარჯვენიდან მარცხნივ).

## კროსვორდი




1 თვინიერი
2 წვერცანცარა
3 გაუმაძღარი
4 ჯიუტი
5 მატყუარა
6 ძლიერი
7 გრძელკისერა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ხელმწიფე - მოსიყვარულე მამა

ლუარა გორდიევიჩი
ფელიქს დანელია

ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია.
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს.
გაჰკრა ხელი და გახია.



ქართველი ხალხის უდიდესი თაყვანისცემა ერეკლე მეფისადმი მრავალ ლექსშია გამჟღავნებული. ხალხი ხოტბას ასხამდა „პატარა კახის“ (ასე ეძახდნენ ტანმორჩილ უფლისწულს) საარაკო ვაჟკაცობას, გულოვნებას, მახვილ ჭკუას, უშიშრობას, არწივისებურ სისწრაფეს და მამულისათვის თავგანწირვას.

საქართველოს მომავალი ხელმწიფე და მტრის რისხვა მკაცრ პირობებში, უბრალო მწყემსებთან და გლეხის ბავშვებთან იზრდებოდა. ადრე ისწავლა ფარიკაობა, ნადირობა, თევზაობა, ცხენზე ჯდომა. ბურთაობდა და ჯარობაში თავის საყვარელ ცხენს - ბაჩას დააქროლებდა. უფლისწულის სპარტელთა წესით აღზრდა ასე გალექსა ხალხმა:

**ბატონიშვილს ერეკლესა**
**ირმის ძუძუ უწოვნია;**
**საჩალეში გადუგდიათ,**
**მონადირეს უპოვნია;**
**წყალი უსვამს ალგეთისა,**
**თრიალეთზე უძოვნია.**

ერთხელ ნადირობის დროს ერეკლემ თურმე შვლის ნუკრი დაიჭირა, სასახლეში მიიყვანა, თხის რძით გაზარდა და სახელიც დაარქვა - ბიჟინა. ლაღად გაზრდილმა ტყის შვილმა თავისი ცელქობით თურმე ძალიან შეაწუხა სასახლის ბინადარნი და პატარა უფლისწულის შინ არყოფნის დროს იგი დაკლეს, რასაც თურმე მომავალი ხელმწიფის უსაზღვრო მწუხარება და ცრემლი მოყვა.

მართალია, ერეკლე ბავშვობიდანვე გაეცნო მდაბიო ხალხის ცხოვრებას, მათი ლხინისა და ჭირის გამზიარებელი გახდა, მაგრამ, როგორც უფლისწულად დაბადებულს, ტახტის მემკვიდრეს, სათანადო განათლების მიღება არ დაჰკლებია.

გაერთიანებული ქართლ-კახეთის უკანასკნელმა ხელმწიფემ ასამდის ომი ძლევამოსილებით გადაიხადა, რამაც განადიდა და გააბრწყინა მისი სახელი.

„მომყევით, ღმერთისა და საქართველოსთვის!“ - ქუხდა ერეკლე მეფის შეძახილი მტერთან შებმის წინ და თვითონ, მტრის შუაგულში, თავის ულაყზე ამხედრებული, თავგანწირვის საოცარ მაგალითს აძლევდა ქართველ მეომრებს.

პრუსიის მეფეს, ფრიდრიხ დიდს, მთელს ევროპაში სახელგანთქმულ მხედართმთავარს, უთქვამს: „ქვეყანაზე ახლა ორი სარდალია - დასავლეთში მე, აღმოსავლეთში ერეკლე მეფე!“

ხალხში მღეროდნენ:

**ერეკლე ბატონიშვილი**
**განა უბრალო კახია,**
**საგურამოში ლეკისა**
**ჯარი მარტოკამ გახია.**

ბრძენმა მეფემ კარგად იცოდა, რომ მამულის ერთგული სამსახურისათვის არც სიყვარული კმარა მარტო, არც საომარი ხელოვნება. საჭიროა აგრეთვე, განათლება. ამიტომ 1782 წელს მან გახსნა სასულიერო სემინარიები თელავში და თბილისში, სამრევლო სკოლები მონასტრებთან და ტაძრებთან, და ხშირად მოინახულებდა ხოლმე მათ.

ერეკლე მეფე და ანტონ კათალიკოსი გაცხოველებით განაგრძობდნენ ქართული სასულიერო და საერო მაღალკულტურული ტრადიციების აღდგენას, გაწმენდას, გამართვასა და აღზევებას.

ერეკლეს 24 შვილი ჰყავდა, იყო ნაზი და მოსიყვარულე მამა. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია მისი ხელით დაწერილი, სიყვარულითა და იუმორით სავსე წერილი თავისი გამორჩევით საყვარელი ქალიშვილისადმი.

მხატვარი დარეჯან ჭილაშვილი



„1781 წლის დეკემბრის 29 თეკლა ბიჭსა, მამისა და დედის სიხარულის მადლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მიერ და ღვთისმშობლის მიერ.

დიდისა და მოწამისა ევსტაფის საკვირველმოქმედისაგან სამარადისოდ გამრავლდეს მას ზედა.

თეკლავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა, რომლისაგანაც შენც იცი და გონიერი ქალიცა ხარ, როგორც მეამებოდა და მაამებდა, მაგრამ უცხოს ოსტატობით და მდივნობით იყო შენი გარჯილობა, უფრო რომ არაბულს ხელს მიგემსგავსებინა. მეტი სიღრმისაგან ვეღარ აღმოვიკითხეთ და ვერც არა შევიტყვეთ.

შენთვის ახლა პირს კოცნა მომიხსენებია. ჩემ მაგივრად დედაშენმა გაკოცოს. კარგი პროწეული გამომიგზავნია. ხვალ, ღვთით, კიდევ ბევრ მაქარყინულს და მაქარს გამოგიგზავნი, და თუ ღვთის ნებაც იქნება, ჩვენც წამოვალთ“.

წერილი სახელმწიფო – სამეფო ბეჭდებით არის დამოწმებული.

1798 წლის 11 იანვარს ღამით, შობიდან 78 წლისა, აღესრულა დიდი მეფე ქართველთა თელავის სასახლის იმავე ჰალატში და იმავე სარეცელზე, სადაც იგი დაიბადა.

მთელმა საქართველომ გულით დაიტირა იგი, ერეკლე მეფის ცხედარი თელავიდან მცხეთაში გადაასვენეს და ქართველთა ზენაარ სალოცავში, დიდი ვახტანგ გორგასალის ახლოს დაკრძალეს.

გამეფდა 24 წლისა. იმეფა 54 წელიწადს.

ქართველმა ხალხმა დიდი გულისტკივილით იგლოვა საყვარელი გმირი:

ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია,
აღარ გყავთ მეფე ერეკლე, არც მისი საომარია!
დამდგარა ბაირაღები, აღარ ჭექს ზარბაზანია!
მცხეთას დგას თეთრი საყდარი, გვერდზე ჩაუდის მტკვარია,
შიგა დგას ოქროს ლოგინი, შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა დგას კუბო ოქროსი, გამოსახული ჯვარია,
კუბოში ჩაუწვენიათ ბაგრატიონთა გვარია.

## ბებო მართა

დაიღალა ბებო მართა
უჰ, რამდენი მაფიართა,
ადგომა რომ დააპირა,
წელში ვეღარ გაიმართა.



ნანა ბერიაშვილი

## მარადმწვანე ხეები

გასცვენიათ ფოთლები,
გაქუცულან ქაცვები,
არ იხდიან სამოსელს
ფიჭვები და ნაძვები.
იწუნებენ წითელ-ყვითელს,
ფერი მოსწონთ მხოლოდ მწვანე,
ამიტომაც თუ შეარქვეს
მათ სახელად – მარადმწვანე.



მხატვარი თეა რიჟამაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წერილი რედაქციას

გამარჯობა, „დილა!“ მე გიორგი მქვია, მეორე კლასში ვარ და უკვე ჩემით ვკითხულობ „დილას“. თურმე დედიკოც და მამიკოც, როცა ჩემხელები იყვნენ, „დილას“ კითხულობდნენ. ყველაზე ძალიან ლექსები მიყვარს, დედიკო მასწავლის და მე სკოლაში ვყვები. ერთხელ მასწავლებელმა მკითხა, ვინ გასწავლა ლექსით! მე ვუთხარი, „დილამ“-მეთქი. ვერ მიხვდა, სანამ არ ვუთხარი, ჟურნალ „დილაში“ ეწერა-მეთქი. ნახატებიც მიყვარს, მეც ვხატავ. გიგზავნით კიდეც. თქვენთან რომ ნახატებია, იმასაც ვიხატავ.

ყოველთვის ველოდები ახალ „დილას“ და ძალიან მიხარია.

**გიორგი იორაიშვილი**



დოდო დეიდა!

მე ვარ თქვენი ჟურნალის მკითხველი. მომწონს ფერად-ფერადი ნახატები, საინტერესო მოთხრობები და ლექსები. მოუთმენლად ველი ახალი ნომრის მიღებას. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ასეთი ჟურნალის გამოცემისათვის და ასევე ჩემი დაბადების დღის მოლოცვისათვის.

**გიორგი ცქიტიშვილი**
II კლასის მოსწავლე.
166-ე სკოლა.

კონცერტი არ გადაავდოთ, იქნებ უკვე ნახეთ, შიგ ქვეია. ახლავე მოგიყვებით: ბოლო „დილაში“ ფოკუსი ეხატა, აი, ხუთი თეთრი რომ ბოთლში უნდა ჩაგვეგდო. ეგ ფოკუსი რეზიკოს და ზურას გავუკეთე, ეგონათ, ვერ ჩავაგდებდი, მე კიდევ ფოკუსი ვიცოდი და ორი ქვეიც მოვიგე. ჰოდა, ერთ ქვეს თქვენ გიგზავნით. მამიკომ მითხრა, კაცურად იქცევით. ძალიან გთხოვთ, კიდევ დაბეჭდეთ ფოკუსები და თავსატეხები. კროსვორდებიც მიყვარს. ყველას ვხსნი, ხანდახან მამაც მეხმარება. „დილას“ მარტო მე კი არა, ბებიაც კარგად კითხულობს, თუ მაშინ მოიტანა დედიკომ, როცა მე სკოლაში ვარ, ბებია მასწრებს და პირველი ნახულობს. კარგად იყავით მე და ბებო გელოდებით.

**ლაშა გუგულაშვილი**

## ჩემს საყვარელ ჟურნალ „დილას“

მადლობას გიძღვნით ჩემი ნამუშევრის აღნიშვნისათვის. ახლა გიგზავნით ჩემს მიერ შედგენილ კროსვორდს.

**ვახტანგ ხარაზიშვილი**
ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე.

შეავსეთ კროსვორდი ისე, რომ ვერტიკალურ სვეტში მიიღოთ სიტყვა „სამშობლო“.

1. საქართველოს კურორტი, სადაც ბავშვები უფრო ირჩევენ დასვენებას.
2. ელჩის სახელწოდება თამარ-მეფის ხანაში.
3. ქართველი საბავშვო მწერლის, მარიამ ალექსიძის ლიტერატურული ფსევდონიმი.
4. უკვდავი პოემის ავტორი.
5. ხადირთა მეფე.
6. მგალობელი ფრინველი.
7. მღვდელი, რომელმაც საზრიანი მოქმედებით და თავისი სიცოცხლის ფასად ქართველთა ჯარს გამარჯვებაში ხელი შეუწყო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:

თორნიკე ბაბუხადიას,
სოფიკო ბაქრაძეს,
ცოტნე, ნინო და გიორგი ბუჩუკურებს,
გიორგი ბორისოვს,
მარიამ გეგეჭკორს,
ანდრო და გიორგი გოგიჩაიშვილებს,
სალომე გუგავას,
ლიკა დოჭვირს,
ეთიკო, გიორგი და იაგო ელოშვილებს,
ზურაბ ზურაბაშვილს,
თამუნა ირემაშვილს,
დიმიტრი კახნიაშვილს,
გიორგი და სალომე კორსანტიებს,
მარიამ კიკნაველიძეს,
ლიზიკო მამრაძეს,
მარიამ მაღალაშვილს,
თამუნა მღებრიშვილს,
ოთიკო მერაბიშვილს,
შოთიკო მათიაშვილს,
სოფო შარაშენიძეს,
ნინო ტარიელაშვილს,
ნია ძერიას,
ნინიკო ჩახავას,
მარიამ ხოფერიას.



## მშობლების საყურადღებოდ:

თუ გსურთ თქვენს პატარას მიულოცოთ
დაბადების დღე,
დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე.
ტელეფონი: 93-10-32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიკა ბაბუკაური

# დო, რე, მი

გუშინ გოგომ გვითხრა „ალუ“,
გვზომავს ლურჯი თოლებით,
ცოდნის კარებს ფრთხილად აღებს,
ხიბლავს ხმები - დო, რე, მი.



როიალის ჰანგზე, ლამაზს,
თვალნი სხივთა მთოვლი,
უციმციმებს, უსმენს გამმას
და უცინის დო, რე, მი-ს.

იცით,
თუკი მოიღუშა,
ცრემლის უდგას მორევი,
ტუჩს პრანჭავს და გიმზერთ ქუშად -
გიხსნით მხოლოდ დო, რე, მი.



და თუ ძილი შემოუტევს
თვალთა ლულვით, ზმორებით -
ჩემს ლიზიკოს, განაურჩებს
დაამშვიდებს დო, რე, მი.



ნიკოლოზ იოსებიძე

# რეზიკო

ამას წინათ რეზიკო
შესჩიოდა ძმაბიჭებს:
„ფეხსაცმელს რომ ჩავიცმევ,
ვეღარ ვადგამ ნაბიჯებს.
მებორკება ფეხები,
ტკივილები მაგიჟებს,
თუ დედიკო ჩამაცმევს
არც მტკივა და არც მიჭერს“.

დააცქერდნენ ფეხებზე
და აუტყდათ ხარხარი,
თურმე ეცვა უკუღმა
ფეხსაცმელი ახალი.

მერე გიგამ ასწავლა
და კიდევაც აჩვენა,
რომელია მარცხენა
და რომელი - მარჯვენა.

მხატვარი გია ლაფაური



ნოდარ ნიჟარაძე

# საჩუქრის ტესტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის ბაბუას უამრავი საზრუნავი გაუჩინა ახალმა, 1998 წელმა. რა მიუტანოს ბავშვებს!? რით მოიგოს მათი გულები!? გადახედა საჩუქრებს – ველოსიპედსა და ბურთს, თოფსა და ანკესს, ტანკსა და ავტომატს, წიგნსა და ჩანთას, ბარბისა და იას, ვაშლსა და ჩურჩხელას, ეკლერს და შოკოლადს. ჩაფიქრდა თოვლის ბაბუა. გაახსენდა, რომ თეას თოჯინები უყვარს, ნიკოს – თევზაობა, ნინოს – ხილი, ლადოს – კანფეტები, ვახოს – ალმა-დალმა სეირნობა, სოსოს – ნამცხვარი, გიორგის – ფეხბურთი, ლიას – ყვავილები. გამოიცანით, ბავშვებო, ვის რას მიუტანს თოვლის ბაბუა. ოღონდ გახსოვდეთ, ერთ საჩუქარზე მეტის მიცემა ერთი ბავშვისათვის მას არ შეუძლია.

გამოცნობილი სიტყვების პირველი ასოები თანმიმდევრულად ჩაწერეთ ცარიელ უჯრებში და გაიგებთ, ვინ უყვარს „დილას“.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ხ 19/6




ბავშვებო! აიღეთ სუფთა ფურცელი ან თხელი მუყაო და[illegible] მოჭერით ისეთივე გეომეტრიული ფიგურები, როგორიც ნახატზეა მოცემული. მერე კი შეეცადეთ ისე განალაგოთ ისინი, რომ მიიღოთ II ნახატზე გამოსახული რთული გეომეტრიული ფიგურები, (ყველას გამოყენება სავალდებულო არ არის).

**გიორგი ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30
გამოდის 1904 წლიდან
ყდაზე ნახატი თამაზ ხუციშვილისა
დაბეჭდილია ბულგარეთში გამომცემლობა «შერის» მიერ
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი
ხელმომწერთათვის: 2 ლარი